

სამსახურის ძირითადი ფუნქციები

ა.(ა)ი.პ. „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“ ახორციელებს სახელოვნებო, ინდივიდუალური და გუნდური სპორტის სახეობების განვითარებასა და მართვას, ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა სახის აქტივობებს, დაწყებითი საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო საქმიანობას.

ცენტრის მიზანია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სახელოვნებო, სპორტული და ახალგაზრდული დაწესებულებების კოორდინაცია და მათი საქმიანობისათვის ხელშეწყობა

ცენტრის სტრუქტურა შედგება ცენტრის დირექტორის, დეპარტამენტების, განყოფილებებისა და ფილიალებისგან.

ცენტრის დეპარტამენტები და განყოფილებები

ცენტრის დირექტორი- გეგი ლიპარტელიანი

სახელოვნებო დეპარტამენტის ხელმძღვანელი-მარიკა ფიროსმანაშვილი

სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი-ევტიხ ხაჩიძე

საორგანიზაციო განყოფილების უფროსი- ლუიზა გელაშვილი

საფინანსო განყოფილების უფროსი ნიკოლოზ ფელიშვილი

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი-თამარ ლოლაძე

ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი-ელენე გახარია

სახელოვნებო დეპარტამენტში შემავალი ფილიალები

ზ .ვალიაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლა

რუსთავის ფოლკლორის სკოლა

რუსთავის N3 მუსიკალური სკოლა

რუსთავის N4 მუსიკალური სკოლა

ნ. ფიროსმანის სახელობის სამხატვრო სკოლა

ჯ. ყოლბაიას სახელობის რუსთავის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი

სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტში შემავალი ფილიალები და განყოფილებები

ახალგაზრდული პროექტების მართვის განყოფილება

ინდივიდუალური სპორტის სახეობების განყოფილება

გუნდური სპორტის სახეობების განყოფილება

საწყლოსნო სპორტის სახეობების განყოფილება

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე

ცენტრში დასაქმებულია 498 ადამიანი, რომელთაგან უმრავლესობა სახელოვნებო და სპორტის დეპარტამენტების თანამშრომლები არიან. კერძოდ: სამუსიკო სკოლის პედაგოგი - 150 პედაგოგი, სპორტული სექციების მწვრთნელ-მასწავლებელი - 60, სხვადასხვა მუსიკალურ ანსამბლებში გაერთიანებული 93 მუსიკოსი.

ცენტრი წარმატებით ახორციელებს ქალაქში კულტურულ თუ სპორტულ ღონისძიებებს, რისი მთავარი წინაპირობაც საზოგადოებასთან და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან მჭიდრო კომუნიკაციაა - 2019 წლის განმავლობაში, თითქმის ყველა ღონისძიების დაგეგმვაში ჩართული იყვნენ სხვადასხვა ჯგუფები

2019 წელს განხორციელებული კულტურული ღონისძიებების ჩამონათვალი:

1-5 იანვარი - საახალწლო სპექტაკლი „თბილი სახლი“

3 მარტი - დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

7 მარტი - ჟ. შარტავას იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება

8 მარტი- ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება-კონცერტი, გამოფენა

21 მარტი- ღონისძიება „ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს“

2 აპრილი-აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამალღების მსოფლიო დღე

9 აპრილი-9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება

14 აპრილი-დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

9 მაისი-ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

26 მაისი- დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ქალაქის რამდენიმე ლოკაციაზე.

1 ივნისი-ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

8 აგვისტო-რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა გმირებისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

სექტემბერი-რუსთაველაქობისადმი მიძღვნილი კვირეული

29-30-31 დეკემბერი-საახალწლო ღონისძიებები

სახელოვნებო განათლება:

სახელოვნებო გაერთიანების სამუსიკო სკოლებში, ირიცხება 1311 მოსწავლე, ხოლო სამხატვრო სკოლაში 122 მოსწავლე. 2019 წელს სამუსიკო სკოლებს დაემატა თანამედროვე მუსიკის განყოფილება. სამხატვრო სკოლაში გაიხსნა განახლებული საგამოფენო დარბაზი, რომლის რეაბილიტაციაც, პროფესიული გადამზადების ცენტრის „მოდუსი“ მხარდაჭერით მოხდა. განახლებულმა სივრცემ საშუალება მისცა ცენტრს გამოფენილიყო არაერთი ნიჭიერი რუსთაველი მხატვრის როგორც პერსონალური, ისე საერთო ნამუშევრების გამოფენები.

2019 წელს განხორციელებული სპორტული ღონისძიებები

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ო. ხმელიძის სახელობის მერვე საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის პეტრე ჯაოშვილის 81 წლისადმი მიძღვნილი ტურნირი

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა: მინი ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, გეზრბენი

გიკო მაისურაძის ხსოვნის ტურნირი ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში

ომარ გუგეშაშვილის სახელობის ტურნირი ბერძნულ- რომაულ ჭიდაობაში

საქართველოს ღია პირველობა კანოე კაიაკში

საქართველოს ჩემპიონატი კრივში

ფეხბურთის ჩემპიონატი ქ. რუსთავის ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის

გიორგი აბუაშვილის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

რუსთავის ღია პირველობა ცურვაში

ორჭიდი-ველო შეჯიბრი, მარათონი

მხიარული სტარტები უბნებს შორის

მარათონი სირბილში

რუსთავის ღია პირველობა ხრიდოლში

რუსთავის ღია პირველობა კიკ-ბოქსინგში

თევზჭერა მოყვარულებს შორის

დავით ბოსტოლანაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ცურვაში

სპორტული სექციები:

ცენტრში ფუნქციონირებს სპორტული სექციები სპორტის 28 სახეობის მიმართულებით, სადაც 1200 მდე სპორტსმენი - მოსწავლე ირიცხება. ცენტრი სრულად აფინანსებს სპორტსმენ მოსწავლეთა ღონისძიებებში მონაწილეობას - ტრანსპორტის, საცხოვრისის და კვების უზრუნველყოფით, რაზეც **110172** ლარია დახარჯული. სპორტსმენ - მოსწავლეთა ჩემპიონატებში სამონაწილეო გადასახადმა **7025** ლარი შეადგინა.

ცენტრი ახდენს წარმატებული რუსთაველი სპორტსმენების სტიპენდირებას, რაზეც 2019 წლის განმავლობაში **72400** ლარი დაიხარჯა, ამასთან უნდა ითქვას, რომ ივლისის თვიდან, ოლიმპიური სპორტის სახეობების მიმართულებით, სტიპენდია თითქმის გაორმაგდა. რუსთაველი სპორტსმენების საზღვარგარეთ მივლინებაში, კი დაიხარჯა **7986** ლარი.

სპორტული მიღწევები:

წლის განმავლობაში გამართულ ასპარეზობებზე 139 პირველი ადგილის, 92 მე-2 ადგილის და 101 მესამე ადგილის მფლობელი სპორტსმენი გვყავს.

საზღვარგარეთ მიღწეული შედეგები:

ნიკოლოზ ბეგაძე-კრივი, ევროპის პირველობის 22 წლამდეელთა შორის III ადგილი
მურად ტაგიევი-კრივი, ევროპის პირველობის მოსწავლეთა შორის II ადგილი
გიორგი აბულაშვილი-თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის პირველობა ჭაბუკებს შორის III
ადგილი.

გიორგი მელიქიშვილი-მკლავჭიდი ევროპის პირველობა 21 წლამდელები I-ადგილი.

მამუკა კიკაბიძე-მკლავჭიდი ევროპის პირველობა 21 წლამდელები. III ადგილი

გიორგი მელიქიშვილი-მკლავჭიდი მსოფლიო ჩემპიონი

ალექსანდრე წივწივაძე-მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის-I ადგილი

მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლე:

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე სხვადასხვა საგანმანათლებლო სექციებით არის
დატვირთული. ამ სექციებში, სასახლის სერვისებით 300-მდე ბავშვი სარგებლობს.
ცენტრში მუშაობს: ქართული ენის და ლიტერატურის, რუსული ენის და ლიტერატურის,
მათემატიკის, ფიზიკა-ქიმიის, ფრანგული ენისა და ლიტერატურის, ხალხური სიმღერის,
ცეკვის, ხალხური საკრავების შემსწავლელი, ხატვის, ინგლისური ენის და ლიტერატურის,
ჭადრაკის, ჟურნალისტიკის სასწავლო სექციები.

ახალგაზრდული პროექტების მართვის განყოფილება

პროექტი „კათედრა“- ახალგაზრდების შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან

პროფესიების პოპულარიზაცია-შეხვედრა სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან

ახალგაზრდული ფორუმი- შეხვედრა ახალგაზრდულ თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციის
წარმომადგენლებთან.

ახალგაზრდული ბანაკი-“გაიცანი შენი რეგიონი“. სამასამდე რუსთაველს საშუალება მიეცა
გაცნობოდნენ ქვემო ქართლის რეგიონს და დაბანაკებულიყვნენ ბოლნისის რაიონში 3 დღის
განმავლობაში.

ცენტრის ელექტრონული ფოსტის მისამართი: cysrustavi@gmail.com

ცენტრის იურიდიული მისამართი: საქართველო, 3700 ქალაქი რუსთავი, ფიროსმანის ქუჩა N17.